

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ბაიზარდა

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ **4469,2 ათასი კაცი შეადგინა¹**, რაც 2010 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 32,8 ათასი კაცით, ანუ 0.7 პროცენტით მეტია. ამასთან, ქვეყნის მოსახლეობის 53.1 პროცენტი (2371,3 ათასი კაცი) - ქალაქად, ხოლო 46.9 პროცენტი (2097,9 ათასი კაცი) სოფლად ცხოვრობს (იხ. ცხრილი №1).

მოსახლეობის 47.6 პროცენტი მამაკაცია, ხოლო 52.4 პროცენტი – ქალი.

ცხრილი №1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2009-2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი)

	2009	2010	2011
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის	4385,4	4436,4	4469,2
მათ შორის:			
ქალაქად	2309,1	2350,5	2371,3
სოფლად	2076,3	2085,9	2097,9

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა ქვეყნის რეგიონებში. მოსახლეობის ყველაზე დიდი მატება 2010 წლის 1 იანვართან შედარებით აღინიშნება ქვემო ქართლის რეგიონში – 1.2 პროცენტი, აჭარის ა.რ. – 1.0 პროცენტი, ქ. თბილისში – 0.9 პროცენტი და შიდა ქართლის რეგიონში – 0.8 პროცენტი. მოსახლეობის შემცირება (-0.6%) აღინიშნება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (იხ. ცხრილი №2), რაც გამოწვეულია აღნიშნულ რეგიონში 2010 წელს დაფიქსირებული უარყოფითი ბუნებრივი მატებით (-426 ერთეული).

¹ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა

ცხრილი №2

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით 2009-2011 წლების 1 იანვრის მდგომარეობით, (ათასი კაცი)


რეგიონი	2009	2010	2011	
			რიცხოვნობა	წლიური მატება (%)
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო	4385,4	4436,4	4469,2	0.7
ქ. თბილისი	1136,6	1152,5	1162,4	0.9
აჭარის არ	382,4	386,9	390,6	1.0
გურია	138,8	139,8	140,3	0.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	47,7	47,6	47,3	-0.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	468,0	474,1	477,1	0.6
იმერეთი	693,5	700,4	704,5	0.6
კახეთი	401,4	404,5	406,2	0.4
მცხეთა-მთიანეთი	105,2	108,8	109,3	0.5
სამცხე-ჯავახეთი	208,1	211,3	212,8	0.7
ქვემო ქართლი	488,8	499,9	505,7	1.2
შიდა ქართლი	313,0	310,6	313,0	0.8

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობასთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 0-4 წლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში და 275,4 ათასი კაცი შეადგინა (იხ. გრაფიკი 1). 2007 წლიდან 0-4 წლის ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი მატულობს, რაც გამოწვეულია ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის მკვეთრი ზრდით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა მთლიან მოსახლეობაში წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა (14.0%-დან 13.8%-მდე).

გრაფიკი 1

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი)



მოსახლეობის რაოდენობის ყოველწლიური მაჩვენებლის გაიანგარიშებაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მონაცემები (განსხვავება შობადობასა და გარდაცვალებას შორის). 2010 წელს საქართველოში დაფიქსირდა მოსახლეობის 15-ათასიანი ბუნებრივი მატება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ქვეყანაში მიგრაციული საღდოს შესაფასებლად იყენებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთთა შესახებ, სადაც ასახულია ქვეყანაში წლის განმავლობაში შემოსულთა და გასულთა რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით. 2010 წელს, წინა წლის მსგავსად, ქვეყანაში დადებითი მიგრაციული ტენდენცია შეინიშნება: 2009 წელს მიგრაციულმა საღდომ 34,2 ათასი, ხოლო 2010 წელს 18,1 ათასი კაცი შეადგინა (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2

მიგრაციული საღდოს ცვლილება 2003-2010 წლებში (ათასი კაცი)

